

585
1953



საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის



უმაღლესი საბჭოს
უწყებები 45

№ 1 (50)

20 თებერვალი

1953 წელი

შინაარსი 585

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი და დადგენილებანი

1. ბრძანებულება საქართველოს სსრ ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის არტისტებისათვის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
2. დედათა და ბავშვთა დაცვის მდგომარეობის შესახებ თბილისის ოლქში.
3. „ქალაქ სოხუმის დრამატული თეატრის შენობის დამპროექტებელთა და მშენებელთა დაჯილდოების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1952 წლის 12 დეკემბრის ბრძანებულების იმ ნაწილის შესწორებაზე, რომელიც შეეხება ნ. ი. რაზმაძის დაჯილდოებას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.
4. ბრძანებულება „სისხლის სამართლის საქმეთა გამო წინასწარი გამოკვლევის წარმოების დროებითი წესების“ 7 მუხლის ცვლილების შესახებ.
5. ბრძანებულება „სასამართლოში შეტანილი სისხლის სამართლის საქმეების წარმართვის წესის შესახებ“ სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წ. 3 იანვრის დადგენილების 4 მუხლის ცვლილებისათვის.
6. ბრძანებულება თბილისის № 11 სამხატვრო სახელოსნო სასწავლებლისათვის სსრ კავშირის და საქართველოს სსრ სახალხო მხატვრის მ. ი. თოიძის სახელის მიკუთვნების შესახებ.





**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
ბრძანებულებანი და დადგენილებანი**

**1. ბრძანებულება საქართველოს სსრ ხალხური ცეკვის სახელმწიფო
ანსამბლის არტისტებისათვის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ**

ქართული ხალხური ქორეოგრაფიული ხელოვნების განვითარებისა და პროპაგანდის საქმეში თვალსაჩინო დამსახურებისათვის საქართველოს სსრ ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის არტისტებს მიენიჭოთ საპატიო წოდება:

საქართველოს სსრ სახალხო არტისტისა

რამიშვილს ნინო შალვას —ანსამბლის მხატვრულ ხელმძღვანელს;
ასულს

საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტისა

- თაყაიშვილს ილია ალექსან- —ანსამბლის არტისტს
დრეს-ძეს
- კალანდაძეს ვალერიან ემელი- —ანსამბლის არტისტს
ანეს-ძეს
- მერაბიშვილს ივანე —ანსამბლის არტისტს
არკადის-ძეს
- მხეიძეს მარინა ალექსანდრეს —ანსამბლის არტისტს
ასულს
- სურვილაძეს გიორგი —ანსამბლის არტისტს
იოსების-ძეს
- ყუფარაძეს ვლადიმერ —ანსამბლის არტისტს
იასონის-ძეს
- ჩახავას ალექსანდრე —ანსამბლის არტისტს
ნესტორის-ძეს
- ზანდამაშვილს ევგენი —ანსამბლის არტისტს.
გიორგის-ძეს

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ზ. ჩხუბანიშვილი.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ევანტაშვილი.**

ქ. თბილისი.
1953 წ. 8 იანვარი.

2. დედათა და ბავშვთა დაცვის მდგომარეობის შესახებ თბილისის ოლქში

მოისმინა რა თბილისის ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღ-
მასკომის თავმჯდომარის მოადგილის ამხ. მ. ალავერდაშვილის მოხსენება



დედათა და ბავშვთა დაცვის მდგომარეობის შესახებ თბილისის ოლქში, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 8 ივლისის ბრძანებულების საფუძველზე თბილისის ოლქში საგრძნობი მუშაობაა გაწეული დედათა და ბავშვთა დაცვის გაუმჯობესების, აგრეთვე მრავალშვილიანი და მარტოხელა დედებისათვის სახელმწიფო დახმარების გაწევის საქმეში. გაზრდილია დედათა და ბავშვთა დაცვის დაწესებულებათა ქსელი, აშენებულია სამშობიარო სახლები ქარელში, რუსთავეში, ვალეში, მთავრდება ყვარლის სამშობიარო სახლის მშენებლობა, კაპიტალური რემონტი გაუკეთდა თელავის, გურჯაანისა და სხვა რაიონების სამშობიარო სახლებსა და ბავშვთა დაწესებულებებს, გაუმჯობესდა დედათა და ბავშვთა მომსახურების ხარისხი, შეიკირდა დედათა და ბავშვთა დაავადება და სიკვდილიანობა, გაუმჯობესდა დედათა და ბავშვთა დაწესებულებების მომარაგება ინვენტარით; დედათა და ბავშვთა დაცვის ორგანოები ძირითადად უზრუნველყოფილი არიან კვალიფიციური სპეციალისტებით.

1944 წლის 8 ივლისიდან 1953 წლის 1 იანვრამდე სახელმწიფო დახმარება დაენიშნა თბილისის ოლქში 122.148 მრავალშვილიანი და მარტოხელა დედას, დაჯილდოვდა „სახელოვანი დედის“ ორდენითა და „დედობის მედლის“ მედლით 34.920 მრავალშვილიანი დედა.

ამასთანავე ერთად პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ თბილისის ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომი, მისი ჯანმრთელობის დაცვის განყოფილება და საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო საქმაო ყურადღებას არ აქცევენ დედათა და ბავშვთა დაცვის საქმეს, რის გამო ამ დარგში ჯერ კიდევ არსებობს სერიოზული ნაკლოვანებანი.

თბილისის ოლქის სამშობიარო დახმარებისა და ბავშვთა სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებების ნაწილი არ არის უზრუნველყოფილი შესაფერისი ბინებით. ასე მაგალითად: ახმეტის რაიონის სამშობიარო სახლს, რომელიც გათვალისწინებულია 10 საწოლისათვის, უკავია 37 კვ. მეტრი ფართობი. შესაფერისი ბინებით არ არიან უზრუნველყოფილი აგრეთვე დმანისის, ლაგოდეხის, მარნეულის და რიგი სხვა რაიონების სამშობიარო სახლები.

თბილისის ოლქის დედათა და ბავშვთა დაწესებულებების ერთ ნაწილს არა აქვს საქმაო რაოდენობით მაგარი და რბილი ინვენტარი და სამედიცინო მოწყობილობა. ახმეტის სამშობიარო სახლს არ გააჩნია სამშობიარო მაგიდა, ბავშვთა ასაწონი სასწორი, სისხლის წნევის გასასინჯი აპარატი და სხვა. ასეთივე მდგომარეობაა წალკის საავადმყოფოს სამშობიარო განყოფილებაში, ახალქალაქისა და თეთრი წყაროს სამშობიარო სახლებში.

ოლქის საბავშვო დაწესებულებათა და სამშობიარო სახლების ხელმძღვანელების ნაწილი არ იცავს კანონით დადგენილი კვების ნორმებსა და ასორტიმენტს. სავაჭრო ორგანიზაციები (ცეკავშირი და თბილისის საოლქო ვაჭრობა) სამშობიარო სახლებსა და ბავშვთა დაწესებულებებს ცუდად ამარაგებენ რძით, რძის პროდუქტებით, ხილით, ბოსტნეულით, რის გამოც კვების რაციონი აღნიშნულ დაწესებულებებში არასაკმაოა, კვებისათვის განკუთვნილი თანხები დედათა და ბავშვთა დაწესებულებებს ასათვისებელი რჩებათ.

ბავშვთა დაწესებულებებისა და სამშობიარო სახლების საწოლთა დატვირთვა არადაამკამყოფილებელია. თბილისის ოლქში 1952 წელს საბავშვო ბაგეებში ადგილების დატვირთვა 168 დღეს უღრიდა; სამშობიარო სახლების



საწოლების დატვირთვა 213-ს. განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა ამ ბოგდანოვკის რაიონში, სადაც სამშობიარო საწოლების დატვირთვა უდრიდა 118 დღეს, და კაქრეთის რაიონში, სადაც აღნიშნული საწოლების დატვირთვა უდრიდა 90 დღეს. არადამაკმაყოფილებელია აგრეთვე მოსახლეობის სტაციონალური სამშობიარო დახმარება, განსაკუთრებით სოფლად, ასე მაგალითად, წალკის რაიონში სტაციონალური სამშობიარო დახმარებით 1952 წელს ისარგებლა მშობიარე ქალების მხოლოდ 20 პროცენტმა, კაქრეთის რაიონში— 18 პროცენტმა, ახმეტის რაიონში—22 პროცენტმა და ა. შ. თბილისის ოლქში მთლიანად სტაციონალური სამშობიარო დახმარება სოფლად არ აღემატება 30 პროცენტს.

ახმეტის, ახალქალაქის, წალკის, კაქრეთის, მარნეულის, ბოლნისისა და რიგი სხვა რაიონის ექიმი მებან-გინეკოლოგებისა და ექიმი პედიატრების კვალიფიკაცია ამალღებს მოითხოვს.

არადამაკმაყოფილებლადაა შესრულებული საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსი და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1949 წლის 2 სექტემბრის დადგენილება „სამშობიარო დახმარების საქმის გაუმჯობესებისა და აბორტების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“, რომლითაც გათვალისწინებული იყო 1950—1951 წლებში რაიონული სამშობიარო სახლებისა და აგრეთვე საკოლმეურნეო სამშობიარო სახლების მშენებლობა თბილისის ოლქში. აღნიშნული დადგენილებით თბილისის ოლქში უნდა აშენებულიყო 11 რაიონული სამშობიარო სახლი 165 საწოლით და 105 საკოლმეურნეო სამშობიარო სახლი 315 საწოლით. ფაქტიურად აშენებულია 4 რაიონული სამშობიარო სახლი 95 საწოლით და 16 საკოლმეურნეო სამშობიარო სახლი 49 საწოლით.

ზოგიერთი ბავშვთა ბაგა მოთავსებულია უვარგის შენობებში (გორის № 2 და № 3 ბავებში, ადიგენის რაიონული ბაგა, ახმეტის სახერხი ქარხნის ბაგა და სხვა). ბავშვთა ბავებს არ გააჩნიათ საჭირო ინვენტარი, სათამაშოები და სხვ.

თითქმის ყველა შემოწმებულ ბავაში არადამაკმაყოფილებელია ბავშვთა კვება. ზოგიერთ რაიონში დედათა და ბავშვთა დაწესებულებების შენობები დაკავებული აქვთ კერძო პირებსა და სხვა დაწესებულებებს (მარნეულისა და ახალქალაქის რაიონების სამშობიარო სახლები, ყვარლის, სვარჯეოს, სიღნაღის, მარნეულისა და რიგი სხვა რაიონების ბავშვთა ბავების შენობათა ნაწილი).

ხშირია შემთხვევები, როცა რაიონული, საქალაქო და სასოფლო საბჭოები დაუშვებლად აუიანურებენ მრავალშვილიანი და მარტოხელა დედებისათვის სახელმწიფო დახმარების დანიშვნას. ასე მაგალითად, ხაშურის რაიონის ცხრაშუხის სასოფლო საბჭოს აღმასკომმა ერთი წელი გაუქიანურა მარტოხელა დედას კურტანიძეს დახმარების დასანიშნავად საჭირო საბუთების გაფორმება. 2—3 თვით და მეტი დროით დაუგვიანეს საბუთების გაფორმება: თეთრი წყაროს რაიონში 42 მრავალშვილიან და მარტოხელა დედას, ახმეტის რაიონში — 41 დედას, ახალციხის რაიონში — 35, ხაშურის რაიონში — 34 და ა. შ.

ზოგიერთი რაიონული საბჭოს აღმასკომი დაგვიანებით იხილავს დედების განცხადებებს დახმარების დანიშვნის შესახებ, ასე მაგალითად, ბოლნისის რაიონში დაგვიანებით იქნა განხილული 61 განცხადება, ახალციხის რაიონში—



26, ახალქალაქის რაიონში — 20 და სხვა. ხშირად დაგვიანებით ბარდებში დედებს ერთდროული დახმარება და პირადი წიგნაკები. სულ შემოწმებულ რვა რაიონში გამოვლინებულ იქნა 896 ასეთი შემთხვევა. აქედან ახმეტის რაიონში — 279, ახალქალაქისაში — 275, ბოლნისისაში — 135 და სხვ.

რივი რაიონული საბჭოების აღმასკომები ზერეულდ იხილავენ მრავალ-შვილიანი და მარტოხელა დედებისათვის დახმარების დანიშვნის საკითხებს, რის გამო ადგილი აქვს სახელმწიფო დახმარების უკანონოდ დანიშვნისა და გაცემის შემთხვევებს. შემოწმებულ 8 რაიონში 1952 წელს გამოვლინებულ იქნა უკანონოდ დანიშნული და გაცემული დახმარება 62.745 მანეთის რაოდენობით. აქედან ახალქალაქის რაიონში — 22.570 მანეთი, ბოლნისის რაიონში — 14.630 მანეთი, ახმეტის რაიონში — 7.970 მანეთი და სხვ.

ზოგიერთი რაიონული, საქალაქო, სასოფლო და საღაბო საბჭო სათანადო ყურადღებას არ აქცევს მრავალშვილიანი დედების დასაჯილდოებლად წარდგენის საქმეს. ასე მაგალითად, 1952 წელს ახალქალაქის რაიონული საბჭოს აღმასკომს არც ერთი დედა არ წარუდგენია დასაჯილდოებლად, მაშინ როცა ამ რაიონში 423 დედას აქვს ჯილდოს მიღების უფლება. ხაშურის რაიონული საბჭოს აღმასკომს საჭირო საბუთები არ გაუფორმებია და ჯილდოზე არ წარუდგენია 116 დედა, გორის რაიონული საბჭოს აღმასკომს — 110 დედა, თეთრი წყაროს რაიონული საბჭოს აღმასკომს — 161 დედა.

თბილისის ოლქის საოლქო, რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომები სისტემატურად არ იხილავენ თავიანთ სხდომებზე საკითხებს დედათა და ბავშვთა დაცვის მდგომარეობის შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. დაევალოს თბილისის ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომს (ამხ. ი. ყუჯიაშვილი), თბილისის ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილებას (ამხ. ლ. გომელაური) და საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს (ამხ. ა. ხელიძე) განახორციელონ ყველა საჭირო ღონისძიება ამ დადგენილებაში აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად და გადაჭრით გააუმჯობესონ დედათა და ბავშვთა დაცვის საქმე ოლქში, რისთვისაც:

ა) გააუმჯობესონ სამშობიარო სახლების, ბავშვთა საავადმყოფოების, დედათა და ბავშვთა კონსულტაციების, ჩვილ ბავშვთა სახლებისა და საბავშვო ბაგების სამედიცინო მომსახურება, ამაღლონ სამედიცინო და სხვა მომსახურე პერსონალის კვალიფიკაცია და გაზარდონ მათი პასუხისმგებლობა მუშაობაში;

ბ) მიიღონ გადაამკრელი ზომები ბინაზე სამედიცინო დახმარების გარეშე მშობიარობის შემთხვევათა სალიკვიდაციოდ, მიაღწიონ იმას, რომ მშობიარე ქალების მოლოგინება მთლიანად სამშობიარო სახლებში ხდებოდეს;

გ) გააძლიერონ ბრძოლა უკანონო აბორტების წინააღმდეგ, მიაღწიონ იმას, რომ აბორტმახერები გამოვლინებულ იქნან და კრიმინალური აბორტის თვითეული შემთხვევა თავის დროზე გადაეცეს პროკურატურის ორგანოებს დამნაშავეთა პასუხისგებაში მისაცემად;

დ) 1953 წლის პირველ მისამდე უზრუნველყონ სამშობიარო სახლებისა და ბავშვთა დაწესებულებებისათვის იმ შენობათა ფართობის დაბრუნება, რომელიც უკავიათ კერძო პირებსა და სხვა დაწესებულებებს; 1953 წლის 1



სექტემბრამდე შეაკეთონ სამშობიარო დახმარებისა და ბავშვთა დაწესებულებების შენობები;

ე) მიიღონ ყოველგვარი ზომები ოლქში დაწყებული სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებების მშენებლობის დასამთავრებლად დაწესებულ ვადებში;

ვ) მოამარაგონ საჭირო რაოდენობის მაგარი და რბილი ინვენტარით, აგრეთვე ტრანსპორტით დედათა და ბავშვთა დაწესებულებანი;

ზ) უზრუნველყონ სამშობიარო სახლებში, ბავშვთა საავადმყოფოებში, ჩვილ ბავშვთა სახლებსა და ბავშვთა ბაგებში დაწესებული კვების ნორმებისა და ასორტიმენტის დაცვა.

2. დაევალოს თბილისის ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომს (ამხ. ი. ყუჯიაშვილი) განიხილოს საკოლმეურნეო სამშობიარო სახლების მშენებლობის საკითხი და ურჩიოს იმ კოლმეურნეობებს, რომელთაც ამის საშუალება აქვთ, 1953 წლის საწარმოო გეგმის შედგენისას გაითვალისწინონ სამშობიარო სახლების მშენებლობა.

3. დაევალოს საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს (ამხ. დ. ხანთაძე) და ცეკავშირის გამგეობას (ამხ. ლ. რუხაძე) უზრუნველყონ დედათა და ბავშვთა დაწესებულებანი საჭირო კვების პროდუქტებით, პირველ რიგში, რძით, რძის ნაწარმით, ბოსტნეულით და ხილით.

4. დაევალოს თბილისის ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომს (ამხ. ი. ყუჯიაშვილი) და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს (ამხ. კ. სოხაძე):

ა) გადაკრით გააუმჯობესონ მრავალშვილიანი და მარტოხელა დედებისათვის კანონით გათვალისწინებული სახელმწიფო დახმარების დროულად და სწორად გაცემა;

ბ) უზრუნველყონ მრავალშვილიან და მარტოხელა დედათა დროული გამოვლინება და სახელმწიფო დახმარების დასანიშნავად შემოსული განცხადებების დაწესებულ ვადაში განხილვა;

ბ) დააწესონ მკაცრი კონტროლი სასოფლო საბჭოების მუშაობაზე, დახმარების დასანიშნავად საჭირო დოკუმენტების დროულად გაფორმების, სახელმწიფო დახმარების დროულად გაცემისა და მრავალშვილიან დედათა ჯილდოზე წარსადგენად საჭირო საბუთების დროულად გაფორმების საქმეში, რათა მომავალში აღარ განმეორდეს მრავალშვილიან დედათა დასაჯილდოებლად წარდგენის დაგვიანების შემთხვევები;

დ) უზრუნველყონ გამოვლინებულ უკანონოდ გაცემული და გაფლანგული თანხების სახელმწიფო ბიუჯეტში აღდგენა 1953 წლის 1 სექტემბრამდე და მომავალში აღკვეთონ სახელმწიფო თანხების უკანონოდ გაცემისა და გაფლანგვის შემთხვევები;

ე) 1953 წლის პირველ კვარტალში უზრუნველყონ ყველა იმ დედათა დასაჯილდოებლად წარდგენა, რომლებსაც მოპოვებული აქვთ ჯილდოს მიღების უფლება.

5. დაევალოს თბილისისა და ქუთაისის ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ უმადლესი საბჭოს პრეზიდიუმებსა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს განიხილონ თავიანთ სხდომებზე დედათა და ბავშვთა დაცვის მდგომარეობის საკითხი



ოლქებში, ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ავტონომიურ ოლქში და გაატარონ საკურო ღონისძიებანი ამ მნიშვნელოვანი საქმის მკვეთრად გაუმჯობესებისათვის.

ნ. დაევალოს თბილისის ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. ი. ყუჯიაშვილს, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრს ამხ. ა. ხელიძეს და საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრს ამხ. კ. სოხაძეს წარმოუდგინონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს 1953 წლის 15 ივლისისათვის ანგარიში ამ დადგენილების შესრულებაზე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ზ. ჩხუბიანიშვილი.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი.**

ქ. თბილისი.
1953 წ. 29 იანვარი.

შ. „ქალაქ სოხუმის დრამატიული თეატრის შენობის დამპროექტებელთა და მშენებელთა დაჯილდოების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1952 წლის 12 დეკემბრის ბრძანებულების იმ ნაწილის შესწორებაზე, რომელიც შეეხება ნ. ი. რაზმაძის დაჯილდოებას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1952 წლის 12 დეკემბრის ბრძანებულებაში „ქალაქ სოხუმის დრამატიული თეატრის შენობის დამპროექტებელთა და მშენებელთა დაჯილდოების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით“ შეტანილ იქნას შესწორება: საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოვდეს რაზმაძე ალექსანდრე ივანეს-ძე (და არა რაზმაძე ნიკოლოზ ივანეს-ძე).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ზ. ჩხუბიანიშვილი.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი.**

ქ. თბილისი.
1953 წ. 9 თებერვალი.



4. ბრძანებულება „სისხლის სამართლის საქმეთა გამო წინასწარი გამოკვლევის წარმოების დროებითი წესების“ 7 მუხლის ცვლილების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. 1 მარტის დადგენილებით დამტკიცებული „სისხლის სამართლის საქმეთა გამო წინასწარი გამოკვლევის წარმოების დროებითი წესების“ 7 მუხლი (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. № 4, მუხ. 54) შეიცვალოს და მიღებულ იქნას შემდეგი რედაქციით:

„7. მე-6 მუხლში ჩამოთვლილ დანაშაულთა საქმეების წინასწარი გამოკვლევა დამთავრებულ უნდა იქნას ორი თვის ვადაზე, ხოლო დანარჩენ დანაშაულთა საქმეებისა—ერთი თვის ვადაზე საქმის აღძვრის დღიდან, რომელ ვადაშიაც ჩაითვლება პროკურორის მიერ საქმის წარმართვა სასამართლოში ან სისხლის სამართლის წესით დევნის მოსპობა. ამ ვადების განგრძობა ცალკეული საქმეებისათვის შეიძლება მხოლოდ ვადით არა უმეტეს ერთი თვისა—საოლქო პროკურორების, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის პროკურორების ნებართვით მათი დასაბუთებული დადგენილების თანახმად. ვადების შემდგომი განაგრძობის უფლება ეკუთვნის საქართველოს სსრ პროკურორს.

ტერორისტული ორგანიზაციებისა და საბჭოთა ხელისუფლების მუშაკთა წინააღმდეგ ტერორისტული აქტების საქმეთა წინასწარი გამოძიების ვადის განისაზღვრება საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 462 მუხლით“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ზ. ჩხუბიანი** შვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი**.

ქ. თბილისი.
1953 წ. 12 თებერვალი.

5. ბრძანებულება „სასამართლოში შეტანილი სისხლის სამართლის საქმეების წარმართვის წესის შესახებ“ სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წ. 3 იანვრის დადგენილების 4 მუხლის ცვლილებისათვის

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

„სასამართლოში შეტანილი სისხლის სამართლის საქმეების წარმართვის წესის შესახებ“ სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წ. 3 იანვრის დადგენილების 4 მუხლი (საქ. სსრ კან. კრ. 1935 წ. № 2, მუხ. 13) შეიცვალოს და მიღებულ იქნას შემდეგი რედაქციით:

„4. სასამართლოს განმწესრიგებელი სხდომის დადგენილება არ შეიძლება გასაჩივრებულ იქნას, მაგრამ შეიძლება გაპროტესტებულ იქნას პროკურორის მიერ ზემდგომ სასამართლოში, სადაც საკითხი გადაწყდება საბოლოოდ“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ზ. ჩხუბიანიშვილი**.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი**.

ქ. თბილისი.
1953 წ. 12 თებერვალი.

6. ბრძანებულია თბილისის № 11 სამხატვრო სახელოსნო სასწავლებლისათვის სსრ კავშირის და საქართველოს სსრ სახალხო მხატვრის მ. ი. თოიძის სახელის მიკუთვნების შესახებ

მიეკუთვნოს სსრ კავშირის და საქართველოს სსრ სახალხო მხატვრის მოსე ივანეს-ძე თოიძის სახელი თბილისის № 11 სამხატვრო სახელოსნო სასწავლებელს და ამიერიდან ეწოდებოდეს მ. თოიძის სახელობის თბილისის № 11 სამხატვრო სახელოსნო სასწავლებელი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ზ. ჩხუბიანიშვილი**.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი**.

ქ. თბილისი.
1953 წლის 16 თებერვალი.